თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

სალომე ზურაბიშვილი:

## საქართველოში იწყება ახალი დიდგორი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში აღარ იყოს სიძულვილზე, რევანშზე დაფუძნებული დაპირისპირება

იხილეთ მე-2-3 გვ.




№7 (787) 23 ოქტომბერი, 2018 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

# არჩევანი შენ!

## 28 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი დასრულდა.**

**საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ამ დროისთვის 25 კანდიდატი მონაწილეობს. მათგან, 19 წარდგენილია პოლიტიკური პარტიის, ხოლო 6 - საინიციატივო ჯგუფის მიერ.**

აღსანიშნავია, რომ რომ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე სულ 46 განაცხადი იყო წარდგენილი, მათ შორის 20 პოლიტიკური პარტიის, ხოლო 26 საინიციატივო ჯგუფის მიერ.

21 კანდიდატობის მსურველს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების გამო ეთქვა უარი კანდიდატად რეგისტრაციაზე; აქედან, ერთმა საინიციატივო ჯგუფმა არ შეასწორა ხარვეზი საარჩევნო დოკუმენტაციაში, ხოლო ერთ პოლიტიკურ პარტიას, უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობასა და კანდიდატის წარდგენაზე, ვინაიდან არ იყო რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროს მიერ. რაც შეეხება 19 საინიციატივო ჯგუფს - მათ, დადგენილ ვადაში არ წარმოადგინეს მხარდამჭერთა სია და კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრაციაზე ეთქვათ უარი.

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის უარის შესახებ განკარგულებები უფლებამოსილი პირების მიერ არ გასაჩივრებულა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტობისთვის 25 კანდიდატი იბროლებს. წარმოგიდგენთ მათ სიას და რიგით ნომრებს:



შალვა ნათელაშვილი



დავით ბაქრაძე



დავით უსუფაშვილი



თამარ ცხორაგაული



თეიმურაზ შაშიაშვილი



გრიგოლ ვაშაძე

1. პ/გ "სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე" - კანდიდატი **მიხეილ სალუაშვილი**, რიგითი ნომერი - 28
2. პ/გ პარტია "საქართველო", კანდიდატი **გიორგი ლილუაშვილი**, რიგითი ნომერი - 17
3. პ/გ "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო", კანდიდატი **ზვიად ბაღდავაძე** - 27
4 . პ/გ "ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა", კანდიდატი **ვახტანგ გაბუნია** - 4
5. პ/გ "ახალი ქრისტიან-დემოკრატები", კანდიდატი **ლევან ჩხეიძე** - 40
6. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია", **შალვა ნათელაშვილი** - 10
7 . საინიციატივო ჯგუფი, კანდიდატი **კახაბერ ჭიჭინაძე** - 58
8. პ/გ "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის",კანდიდატ **დავით ბაქრაძე** - 2
9. პ/გ "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" (ედპ) , კანდიდატი **ზვიად იაშვილი** - 30
10. პ/გ "თავისუფალი დემოკრატები", კანდიდატი **დავით უსუფაშვილი** - 25
11. პ/გ "თავისუფალი საქართველო", კანდიდატი **კახა კუკავა** - 21
12. პგ "საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა", კანდიდატი **გელა ხუციშვილი** - 35
13. საინიციატივო ჯგუფი: კანდიდატი **სალომე ზურაბიშვილი** - 48
14. მპგ "საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია", კანდიდატი **ზვიად მეხატიშვილი** 13
15. საინიციატივო ჯგუფი: კანდიდატი **თეიმურაზ შაშიაშვილი** - 65
16. პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა", კანდიდატი 31
17. "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი" , კანდიდატი **აკაკი ასათიანი** - 18
18. საინიციატივო ჯგუფი: კანდიდატი **ბესარიონ თედიაშვილი** - 49
19. პ/გ ახალი პოლიტიკური ცენტრი "გირჩი", კანდიდატი **ზურაბ ჯაფარიძე** -36
20. საინიციატივო ჯგუფი: კანდიდატი **ვლადიმერ ნონიკაშვილი** - 62
21 პ/გ "მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის", კანდიდატი **ირაკლი გორგაძე** - 23
22. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", კანდიდატი **გრიგოლ ვაშაძე** - 5
23. "მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის", კანდიდატი **მიხეილ ანთაძე** -1
24. საინიციატივო გჯუფი: კანდიდატი **გიორგი ანდრიაძე** - 51
25. "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", კანდიდატი **ოთარ მეუნარგია** - 22

აუცილებლად მოდი არჩევნებზე და გააკეთე შენი არჩევანი!

PSnews.ge

ISSN 1987-7056

# სალომე ზურაბიშვილი: საქართველოში იწყება ახალი დიდგორი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში აღარ იყოს სიძულვილზე, რევანშზე დაფუძნებული დაპირისპირება

**„საქართველო სტაბილური ქვეყანაა, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა კავკასიაში, ევროპაში, მსოფლიოში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ადგილი დაიბრუნოს“, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთან შეხვედრისას განაცხადა.**




სალომე ზურაბიშვილის თქმით, საქართველოსთვის იწყება ახალი დიდგორი და “ჩვენ ამ ბრძოლის წინაშე ვდგავართ“.

„ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში, დღეს საქართველო სტაბილური ქვეყანაა, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რომ კავკასიაში, ევროპაში, მსოფლიოში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ადგილი დაიბრუნოს. არ უნდა დავიჯეროთ, რომ რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრი ჩვენი მოქალაქე საზღვარგარეთაა წასული, ის ვერ მოიპოვებს თავის ადგილს მსოფლიო რუკაზე. დიდგორი პირველ რიგში, რასაც ნიშნავს, ეს არის ჩვენში გაერთიანება, რომ აღარ იყოს ამ ქვეყანაში ისეთი დაპირისპირება, რომელიც დაფუძნებულია სიძულვილზე, რევანშზე. გაუთავებელმა დაპირისპირებამ ქვეყანა შეიძლება, გახლიჩოს”, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა აღნიშნა, საქართველო არის ქვეყ ანა, რომელმაც შეძლო სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის მიუხედავად, ადამიანების თანაცხოვრება ისე, რომ შიგნით არასდროს მომხდარა დაპირისპირება.

„ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელზეც მაგალითად ისრაელში ამბობენ, რომ თუ რომელიმე ქვეყანა არის მსოფლიოში, რომელსაც არ აქვს ბოდიში მოსახდელი ისრაელისა და ებრაელების მიმართ, ეს არის საქართველო, რადგან დანაშაული ამ კუთხით მას არასდროს ჩაუდენია. ეს არის ძალიან დიდი იშვიათობა მსოფლიოში, რადგან პრაქტიკულად ყველგან იყო ასეთი გამოვლინებები. ასევე, ეს არის საქართველოს ძალიან დიდი ისტორიული განძი, რომლითაც მოვდივართ. ყველა გამოვლინება, ძალადობის, სიძულვილის, დაპირისპირების არის ამ განძის მიმართ დანაშაული, საქართველოს იდენტობის მიმართ დანაშაული. დღეს ვართ, ადგილზე, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ ერთად. ჩვენ ამით ტოლერანტობის და ერთმანეთის პატივისცემის გზაზე მივდივართ. ჩვენ არ უნდა დავიხიოთ უკან, არ უნდა დავუბრუნდეთ წარსულს. პირიქით, ამაზე უნდა ავაშენოთ მომავალი საქართველო. მიმაჩნია, რომ ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ეს ბრძოლაა არამხოლოდ კონკურენტებს შორის, არამედ ბრძოლაა დიდგორის, გადამწყვეტი ბრძოლაა, სტაბილურობისთვის, მშვიდობისთვის. ეს არჩევანი ყველას გასაკეთებელია, თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, როგორი ქვეყანა გინდათ თქვენი შვილებისთვისა და შვილიშვილებისთვის. მე ამ სტაბილურობის გარანტი ვიქნები, თუ თქვენს ნდობას დავიმსახურებ, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვიქნებით ერთად საქართველოსთვის” , – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.





დამოუკიდებელმა კანდიდატმა მოსახლეობასთან შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხს დაუთმო. მისი თქმით, როგორც მთავარსარდალი, ის იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი, ვინაიდან წინაპრებმა დაუტოვეს ძალიან დიდი ვალდებულება-ქვეყნისთვის რამე ღირებული გაეკეთებინა.

„ასე იყო პირველივე დღიდან, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრისთვის მითი და მიუღწევადი მიზანი იყო. არა მხოლოდ ოჯახი, არამედ ყველა ის ადამიანი, ვისთანაც ვიზრდებოდი, იყვნენ ამ რწმენით, რომ დამოუკიდებლობა დაბრუნდება და იმ დღისთვის უნდა იყო მზად, იმ დღისთვის უნდა ისწავლო და მიაღწიო ყველაფერს, ამ ქვეყნის სამსახურში ჩადგე, სათავეში კი არა (ამაზე ვინ ფიქრობდა მაშინ), არამედ – სამსახურში, რომ გამოადგე, რაღაცა გაუკეთო ქვეყანას.

ეს არის ის, რაც მამოძრავებს,”– განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა აღნიშნა, ქვეყნის დამოუკიდებლობა არის რთული და მის დასაცავად მუდმივად ბრძოლაა საჭირო.

„ახლა, როცა ჩვენ ვზეიმობთ ასი წლის დამოუკიდებლობას, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დამოუკიდებლობა არის რთული და მუდმივად საბრძოლველი. ამ ქვეყნისთვის, მისი გარემოცვიდან გამომდინარე, ძალიან რთულია, იფიქრო, რომ ეს არის სამუდამო მოცემულობა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის საბრძოლველი, მუდმივად დასაცავი და როგორც მთავარსარდალი, მე ვიქნები ამის დამცველი“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს გამთლიანებამდე ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი, ამიტომ მხარდამჭერებს ერთად მუშაობისკენ მოუწოდა.

„ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა ერთად, რადგან ძალიან რთული არის ის გზა, რაც გვაქვს გასავლელი გამთლიანებამდე.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

# სალომე ზურაბიშვილი: საქართველოში იწყება ახალი დიდგორი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში აღარ იყოს სიძულვილზე, რევანშზე დაფუძნებული დაპირისპირება

**მეორე** გვერდიდან

ეს არის უწყვეტი ისტორია, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც მე ვარ, მე ვიქნები ამ გზის და თქვენი ერთგული ბოლომდე“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელზედაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა ისაუბრა, ქვეყანაში სტაბილური სიტუაციის არსებობაა. სალომე ზურაბიშვილის თქმით, „ვიღაცებს აქვთ იმედი, რომ ეს არჩევნები გადავა არასტაბილურ სიტუაციაში და ამისთვის ემზადებიან კიდევაც საზღვრის გარედან“.

„მრავალეროვნება, მრავალენოვნება – ეს ყველაფერი არის ის, რაც ქმნის საქართველოს სიძლიერეს, საქართველოს სიმდიდრეს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საფუძველი დაშლის და ჩვენ ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენს ირგვლივ ძალიან რთული რეგიონია. ერთი ვიცით, ვინც არის ჩვენი ორი ტერიტორიის ოკუპანტი, მაგრამ ასევე, რთულია საერთოდ, რეგიონი. აქეთ – ტერორიზმი, იქეთ – არასტაბილურობა და ჩვენ ვართ რაღაცნაირი კუნძული ამ რთულ რეგიონში, რომელიც ძალიან ღირებულია ჩვენი პარტნიორებისთვის. ამიტომ, შეგვიძლია, უფრო მეტი მოვითხოვოთ და უფრო სხვანაირად, მე ამის დიდი იმედი მაქვს, წარვმართოთ მოლაპარაკებები მათთან, რომ ცოტა უფრო კონკრეტული და უფრო სწრაფი ნაბიჯებით მივდიოდეთ იმ ერთადერთ გზაზე, რომელიც არის ჩვენი გზა ევროპასთან შეერთებისა, მაგრამ ჩვენ შიგნით უნდა შევინარჩუნოთ ჯერ ეს სტაბილურობა. ვიღაცებს აქვთ იმის იმედი, რომ ეს არჩევნები გადავა რაღაც არასტაბილურ სიტუაციაში და ვიღაცები ამისთვის ემზადებიან კიდევაც საზღვრის გარედან; რაღაცას გვეუბნებიან, რომ შეიძლება მოხდეს და უნდა მოხდეს რევოლუცია და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. უნდა ვიყოთ მზად სტაბილურობისთვის – ეს იქნება ჩემი პირველი და მთავარი დანიშნულება“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, დამოუკიდებელმა კანდიდატმა, სახელმწიფო ენის მნიშვნელობასა და მისი შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრა.

„სახელმწიფო ენა, როგორც აუცილებელი წარმატების გზა ამ რეგიონისთვისა და ადამიანებისთვის კულტურასთან, იდენტობასთან, ტრადიციებთან ერთად შენარჩუნებული უნდა იყოს. თუ ამ რეგიონში ადამიანებს უნდათ განვითარების ძრავა გახდნენ, სახელმწიფო ენა უნდა გამოიყენონ, ასე გაიგებენ რა პროგრამები არსებობს და როგორ შეიძლება თავიანთი რეგიონის განვითარება“,-აღნიშნა მან.

სალომე ზურაბიშვილის თქმითვე, საუბრობენ, რომ ქართული ენა არ იცის, მაგრამ არ ახსოვთ, რომ ლავროვს სწორედ ქართულად ელაპარაკა.

„ჩემზე ყველაფერს ამბობენ და იგონებენ. საუბრობენ, რომ ქართული ენა არ ვიცი, მაგრამ არ ახსოვთ, რომ ლავროვს ქართულად ველაპარაკე. მგონი, ჩემ გარდა, არც ერთ საგარეო საქმეთა მინისტრს, პრეზიდენტს, არც მოლაპარაკებებზე და არც შეხვედრებზე ქართულად არ ულაპარაკიათ. შეიძლება, შეცდომით ვსაუბრობ ხოლმე, მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი ქართული უშეცდომოა, მათ შორის ჩემი შვილების მეტყველება, მაგრამ ძალიან ამაყი ვარ, რომ ისინი ქართულად საუბრობენ”, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა აღნიშნა, ყველას წარსული ცნობილია, თუმცა მისი მიზანი ვიღაცის ლანძღვა და ფაქტების გახსენება არ არის.

„შეუძლებელია ჩვენი დროის ხარჯვა იმაზე, რომ დავიწყო მტკიცება, რას წარმოვადგენ – რომ ვარ სალომე და არა გრიგოლი. ამ ყველაფრის ერთ-ერთი დანიშნულებაც სწორედ ის არის, რომ დავიწყო თავის მართლება ან ვიღაცის ლანძღვა, ფაქტების გახსენება და ა.შ. ყველას შეგვიძლია ამის გაკეთება, რადგან ყველას წარსული არის ცნობილი, თუმცა ეს არ არის ჩემი მიზანი და არც იქნება არასოდეს, ამისთვის მე დრო არ მაქვს. ამ ყველაფრის მეორე მიზანი საერთაშორისო არენაზე წინასწარ ჩემი დისკრედიტაციაა. ვითომ, ამ ყველაფრით ხელი შემეშლება, რომ განვახორციელო ჩემი გეგმები, როცა ვიქნები საქართველოს პრეზიდენტი.

ესეც არ იმუშავებს, რადგან ძალიან კარგად მიცნობენ, ბოლოს და ბოლოს მრავალი წლის განმავლობაში ბევრ საერთაშორისო არენაზე ვმოღვაწეობდი. ამერიკელებსაც და ევროპელებსაც ძალიან კარგად შეუძლიათ, გაარკვიონ, ვინ ვინ არის და წარსულში ვინ რას იცავდა.

შესაბამისად, ამის მტკიცებაც არ არის საჭირო. დღეს რაც არის საჭირო, არის ის, რომ თქვენ კარგად იცოდეთ, რისთვის მოვდივარ პრეზიდენტად; თუ, რომელი არის ბრალდება და რომელი არის სწორი, თქვენც შეგიძლიათ გაარკვიოთ“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.








# პირველად საქართველოს ისტორიაში საუკეთესო სომელიეს ტიტული თამაზ თამაზაშვილმა მოიპოვა



შუაში – პირველი ქართველი ჩემპიონი სომელიე თამაზ თამაზაშვილი, მარცხნივ – ფინალისტი სომელიე კობა აბრამიშვილი, მარჯვნივ – ფინალისტი სომელიე ჯაბა ძიმისტარიშვილი

**საქართველოს სომელიეთა ასოციაციისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, „ღვინობის თვის" ფარგლებში, 20-21 ოქტომბერს, საქართველოში პირველად გაიმართა კონკურსი„საქართველოს საუკეთესო სომელიე - 2018".**

კონკურსში მონაწილეობდნენ ის პროფესიონალი სომელიეები, რომელთაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ოფიციალურად აქვთ მინიჭებული სომელიეს ან ასისტენტ სომელიეს სტატუსი.
კონკურსს ჰყავდა მაღალკვალიფიციური ჟიური, მათ შორის - უცხოური, ხოლო თავმჯდომარე იყო საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, "მარანი ხეცურიანი"-ს დამფუძნებელი, ბატონი შალვა ხეცურიანი.
20 ოქტომბერს შედგა ფინალისტების შესარჩევი ტური, რომლის შედეგადაც 10 სომელიედან ფინალში გადავიდა - სამი: თამაზ თამაზაშვილი, კობა აბრამიშვილი და ჯაბა ძიმისტარიშვილი. ხოლო ფინალი გაიმართა 21 ოქტომბერს Republic Event Hall-ში, სადაც გამოვლინდა 2018 წლის საქართველოს საუკეთესო სომელიე - **თამაზ თამაზაშვილი.**
გამარჯვებულს გადაეცა „საქართველოს საუკეთესო სომელიე"-ს თასი. ასევე - სხვადასხვა ღვინის მწარმოებლის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები დასაჩუქრები.
2018 წლის საქართველოს საუკეთესო სომელიე მომავალი წლის მარტში გაემგზავრება ბელგიაში, სადაც საქართველოს სახელით იასპარეზებს კონკურსში „მსოფლიოს საუკეთესო სომელიე - 2019".



კონკურსის დროს



გამარჯვებულის პრიზი



შალვა ხეცურიანი






P.S.
**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
**R ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
**გამომცემელი** — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**